

გურიას და სრულიად საქართველოს ვულოცავ შობა-ახალ წელს! დამდეგ კალანდას! გისურვებთ მშვიდობას, სიხარულს, ხვავსა და ბარაქას! 2019 წელი მნიშვნელოვანი იყო ჩვენი რეგიონისთვის, განხორციელდა მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები. გაუმჯობესდა წყალმომარაგება, რეაბილიტირდა ამბულატორიები, სკოლები, მოწესრიგდა საგზაო ინფრასტრუქტურა. მომავალი წელი იქნება არანაკლებ წარმატებული. თითოეული პროექტი, ორიენტირებული იქნება ჩვენი მოქალაქეების კეთილდღეობაზე და სოციალური ფონის გაუმჯობესებაზე.

პატივისცემით,

**ზურაბ ნასარაია.**

გურიის მხარის სახელმწიფო რწმუნებული



## გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

მშვიდობასა და ბედნიერებას გისურვებთ! წარმატებების, სიკეთისა და სიხარულის მომტანი იყოს ახალი, 2020 წელი თქვენთვის და სრულიად საქართველოსთვის!

პატივისცემით,

**დავით დარჩია**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



ჩემო ძვირფასებო, გილოცავთ ახალი, 2020 წლის შემობრძანებას! მინდა გისურვოთ მშვიდობა, სიკეთე, სიყვარული და ბედნიერება! ხვავი, ბარაქა და დოვლათი მოეტანოს ყოველ წელს თქვენთვის. ღვთის წყალობა, შვილთა სიმრავლე, ჯანმრთელობა და წარმატებები არ მოგკლებოდეთ! 2020 წელს გაირდებით მეტ საინტერესო პროექტს ოზურგეთის განვითარებისა და თქვენი კეთილდღეობისთვის! გილოცავთ დიდი სიყვარულით.

**კონსტანტინე შარაშენიძე**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 46 (10339) 30 დეკემბერი , 2019 წ. ფასი 60 თეთრი.

## თორმეტწლიანი განსაცდელის მიუხედავად, ცხოვრებაში მაინც პოზიტივს ხედავს

### თამუნა შავაძემ დამდეგი ახალი წელი მოგვილოცა, მკითხველო!



გასულ კვირას სოფელ მთისპირში შევხვდით ერთმანეთს. წინასაახალწლო მილოცვების გაცვლის შემდეგ დავმეგობრდით კიდეც.

რასაკვირველია, ჩემ ახალ მეგობარს „ალიონის" მკითხველთან განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. **თამუნა შავაძეს,** ყველა ადამიანური ღირსებით შემკულ გოგონას, გაუსაძლის ტკივილთან მედგრად მებრძოლ ადამიანს, მტკიცე და ლოგიკურად მოაზროვნე, კომუნიკაბელურ პიროვნებას გაცილებით ფართო აუდიტორია იცნობს, ალბათ, მთელი საქართველო.

რომ არა 12 წლის წინანდელი საბედისწერო შემთხვევა, რის გამოისობითაც თამუნა დღეს მხოლოდ ეტლით გადაადგილდება, ის რომელიმე დარგში, ქვეყნის მასშტაბით, ერთ-ერთი წარმატებული ქალი იქნებოდა. თუმცა, არც არსებულ სიტუაციაში აკლია წარმატებულობა და ავტორიტეტი. აკი თვითონ ამბობს, ვერავინ ვერაფერს გამომაპარებს, კარგი ფსიქოლოფი ვიქნებოდი, რადგან საუბარიც შემიძლია და დარწ-

▶▶▶ გვ-7

## „იმერის ბენტონიტ ჯორჯიამ" მდინარე ბახვისწყალზე გადასასვლელი ხიდი გადაკეტა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირში მდინარე ბახვისწყლზე ფრანგულმა კომპანია „იმერის ბენტონიტ ჯორჯიამ", რომელმაც ბერძნულიკომპანიის „სილვერ ენდ ბარიტ მაინინგ კომპანისაგან" შეისყიდა საწარმო, ამჯერად შპს „ასკანგელ ჯგუფს," „ბახვისჰესი-3"-ის მაღალი ძაბვის გადამცემ ანძებს, საქართველოს სატყეო დეპარტამენტს და სოფელ მთისპირის მოსახლეობას გადასასვლელი ხიდი კვლავ გადაუკეტა. როგორც ოზურგეთის მერის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენელი სოფელ მთისპირში, **მაია ჩავლეიშვილმა** გაზეთ „ალიონთან" განაცხადა, „იმერის ბენტონიტ ჯორჯიამ" ხიდზე ჯიხური დადგა და ვერ გამოაქვთ ციხისუბნის კარიერიდან კლდოვანი ნაშალი ქანი სოფლის შიდა გზებზე არსებული ორმოების შესავსებად.



ბერძნული კომპანია „სილვერ ენდ ბარიტ მაინინგ კომპანიმ" 1997 წლის 16 დეკემბერს აუქციონზე შეიძინა მაღაროთა სამმართველოს აქციების 97,7 %. ის გახდა ერთ-ერთი მძლავრი საწარმოს მფლობელი საქართველოს სინამდვილეში, რომლის პროდუქცია ერთ-ერთი პირველ ადგილზე იყო მსოფლიოში. თუმცა აქ მოვლენები სხვაგვარად განვითარდა.

როგორც ოზურგეთის მაღაროთა სამმართველოს ყოფილი თანამშრომლები ამბობენ, ბერძენმა ე.წ. „ინვესტორმა" ორი ქარხანა შეისყიდა. 20 წლის მანძილზე წლობით იყო გაჩერებული ეს ქარხნები, სიძველისა და უმოქმედობის გამო მწყობრიდან გამოვიდა და განადგურდა საკარიერო ტექნიკა., საწარმოს განვითარებისთვის არაფერი არ გაკეთებულა. ბუნებრივია ამის ფონზე იზრდებოდა მუშა-მოსამსახურეების უკმაყოფილება, რადგან წლობით გაუცემელი სამადლო ანაზღაურება ხელფასის ოდენობასა არსებობის მიმიმუმსაც არ უტოლდებოდა, რასაც მოჰყვა 2003-2004 წლ-ებში მუშა-მოსამსახურეთა მღელვარება, საპროტესტო აქციები, გაფიცვები, შიმშილობა.

შედეგი? ბერძნულმა კომპანიამ 720-კაციანი კოლექტივი ჯერ 120 კაცამდე შეამცირა, ხოლო შემდეგ განუსაზღვრელი ვადით უფასო შვებულებაში გაუშვა.

მუშა-მოსამსახურეთა პროტესტის გამო ოზურგეთში ჩავიდა გარემოს დაცვის მინისტრი. შეიქმნა სახელმწიფო გეოლოგიური კონტროლის კომისია, რომელმაც 2004 წლის 21 მაისის აქტით გამოავლინა, რომ ბენტონიტური თიხის სალიცენზიო პირობები არ იყო შესრულებული. ბეძნულმა კომპანიამ კარგად იცოდა ციხისუბნის კარიერზე არსებული მდგომარეობა და შეიმუშავეს საბადოს დამუშავების ახალი პროექტი. მათ ასევე, მეწყერის მდგომარეობის შესწავლის მიზნით, მოიწვიეს სპეციალისტები თბილისიდან, მაგრამ არ გაითვალისწინეს და არ შეასრულეს ფირმა „ჯეენექს"-ის დასკვნები და რეკომენდაციები.

წლების განმავლობაში უმოქმედობის გამო ჩამოშლილი და ჩამორეცხილია მოქმედი მუშა საფეხურები; დანაგვიანებულია სამუშაო მოედნები, გაჯირჯვებული თიხოვანი და ფუჭი ქანების სახით.

როგორც შპს „ასკანგელ ალიანსის" კარიერის უბნის უფროსმა **ვახტანგ თოიძემ** გვითხრა, „უკანონო გარიგება დღ-

▶▶▶ გვ-2

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**

***გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.***

***ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.***

***რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.***

***რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.***

***გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.***

## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

**დაიწყეთ ყოველი ოიშაბათი ალიონზე**

«ალიონით»

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2020 წლის ბიუჯეტი დაამტკიცა

**ალიონი.** 27 დეკემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რიგგარეშე სხდომა გაიმართა, რომელმაც 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი განიხილა.

2020 წლის ბიუჯეტი 26,211,600 ლარით განისაზღვრა და ის შემდეგ პრიორიტეტებში გადანაწილდა:

ინფრასტრუქტურის განვითარება;

დასუფთავება და გარემოს დაცვა;

განათლება;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

*–„მისასალმებელია, რომ მომავალი წლის ბიუჯეტი 2,084,200 ლარით მეტია 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით დადგენილი ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, ანუ ზრდა აღემატება 8 პროცენტულ პუნქტს.*

*მთავარი საფინანსო დოკუმენტი უთუოდ არის პასუხისმგებლიანი და მუნიციპალიტეტის სწრაფ და მიზანმიმართულ განვითარებაზე ორიენტირებული. ამასთან ერთად, დასაგეგმი წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები სრულ თანხვედრაშია ზოგადად ქვეყნის განვითარების პრიორიტეტების ძირითად მიმართულებებთან."* - აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩიამ.** კრიტიკული კითხვები დასვეს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დეპუტეტებმა **ბესო ქათამაძემ, დავით მჟავანაძემ, შალვა თავდიშვილმა.**



სხდომის მიმდინარეობისას დასკვნები წარმოადგინეს დარგობრივმა კომისიებმა და ფრაქციებმა. საკრებულოს წევრების შეკითხვებს ბიუჯეტის პრ-ოექტთან დაკავშირებით უპასუხა მერმა **კონსტანტინე შარაშენიძემ.** ბიუჯეტის დადებით და უარყოფით მხარეებზე ისაუბრა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **ლავრენტი ბიგვავამ,** რომელმაც აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტულ პროექტების დაფინანსების გაცნობა ბიუჯეტის გაუმჭირვალობის აზრს აჩენს, რაც მის ნაჩქარევად და უგულისყუროდ შედგენაზე მიუთითებს. სამი ისეთი არგუმენტია იმისათვის, რითაც შესაძლებელია საკრებულომ 2020 წლის ბიუჯეტი არ დაამტკიცოს, მაგრამ ბიუჯეტს აქვს ძლიერი მხარეები, ამიტომ ჩვენ მერიას საშუალებას ვაძლევთ 1 აპრილამდე გაასწოროს შეცდომები. სხვა შემთხვევაში ჩვენ მომავალში ბიუჯეტში არც ერთ ცვლილებას არ დავუჭერთ მხარს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ღურჯუმელიძემ ბიუჯეტის დადებით და უარყოფით მხარეების წარმოდგენასთან ერთად სკოლამდელ დაწესებულებებში 2020 წლის 1 იანვრიდან ხელფასების ზრ-დის თემაც დააანონსა.

2020 წლის ბიუჯეტი 28 ხმით დამტკიცდა. ბიუჯეტის პროექტს მხარი დაუჭირა ფრაქციათა უმრავლესობამ, გარდა "ერთიანი ნაციონალური მოძრ-აობისა".

# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა ანგარიში წარმოადგინა



**ალიონი.** გასულ პარასკევს, კოლეჯ „ჰორიზონტის“ კლუბში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა კონსტანტინე შარაშენიძემ 2019 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების, სოციალური პროგრამების, კულტურული და სპორტული ღონისძიებების შესახებ შემაჯამებელი ანგარიში წარმოადგინა.

ანგარიშის წარდგენის შემდეგ დამსწრე საზოგადოებამ კითხვები დაუსვეს ოზურგეთის მერს და წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს.

# „საახალწლო ზღაპარი“ ნორჩი მკითხველებისა და მაყურებლებისათვის

**ალიონი.** 27 დეკემბერს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ და თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრმა საახალწლო საღამო გამართეს ბიბლიოთეკის ნორჩი მკითხველებისა და თოჯინური სპექტაკლების საუკეთესო მაყურებლებისათვის.



ბავშვებს უჩვენეს სპექტაკლი „საახალწლო ზღაპარი“. სპექტაკლის შემდეგ ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა სიგელები და საახალწლო საჩუქრები გადასცა გამორჩეულ მკითხველებს.

„საახალწლო ზღაპარის“ ავტორი ი. მალიციძეა, ინსცენირება, სცენოგრაფია და რეჟისურა ოთარ კუტალაძეს ეკუთვნის. სპექტაკლში მთელი დასი მონაწილეობდა.

# „იმერის ბენტონიტ ჯორჯიამ“ მდინარე ბახვისწყალზე გადასასვლელი ხიდი გადაკეტა

ევანდელი საბოტაჟის მიზეზი გახდა. როგორ ვერ შეძლეს მათ 20 წლის განმავლობაში სტაბილური და სერიოზული მომხმარებლის პოვნა, როცა ამ ხნის მანძილზე საბერძნეთში, კუნძულ მილოსზე არსებული მათი კუთვნილი ანალოგიური საწარმოს გაყიდვები 600 ათასი ტონა პროდუქციიდან 1 200 ათას ტონამდე გაიზარდა. გამოდის, რომ კომპანიის მიზანი იყო არა ოზურგეთის საწარმოს განვითარება, არამედ მსოფლიო ბაზარზე მონოპოლიის მიზნით შპს „ასკანას“ სიმძლავრეების ეტაპობრივი განადგურება და კონკრეტული საწარმოს ბლიკირება, რაც ნამდვილად კარგად გამოუვიდათ. უფრო მეტიც, მათ ახალი მანქანა-დანადგარები დაჭრეს და ჯართში ჩააბარეს. როგორიცაა ძვიდარღირებული, მძიმეწონიანი ელექტროექსკავატორი, ავტომანქანა „ბელაზები“ და კიდევ სხვა ტექნიკა. ეს იყო ქვეყნის მიმართ განხორციელებული ეკონომიკური დივერსია. 2017წლის ბოლოს ბერძნულ კომპანიას სოფელ მთისპირში წიაღისეულის მოპოვების ვადა დაუმთავრდა და სახელმწიფომ ციხისუბნის კარიერში თიხის მოპოვების ლიცენზია ადგილმონაცვლეობით „ასკანგელ ჯგუფს“ გადასცა, ხოლო „სილვერ ენდ ბარიტ მაინინგ კომპანი“, „იმერის ბენტონიტ ჯორჯიამ“ ჩაანაცვლა, იგივე დირექციითა და იგივე შტატით. ამას მოჰყვა ის, რომ ჯერ შპს „ასკანას“ საწარმოს ეზო ჩაკეტეს და გამაფრთხილებელი წარწერა გამოაკრეს „კერძო საკუთრება,“ ხოლო 2018 წლის დასაწყისში ციხისუბნის კარიერის მისასვლელთან, მდინარე ბახვისწყალზე 2-მალიანი ხიდის წინ ბეტონის კუბიკები დააწყვეს და გზა გადაკეტეს, რასაც ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტი მოჰყვა, რადგან ციხისუბნის მიმდებარედ არის მოსახლეობისათვის გამოყოფილი ტყეკაფი, საკარმიდამო ნაკვეთები, სადაც გაშენებული აქვთ თხილი და მოჰყავთ სიმინდი. მოსახლეობა ვერ ახერხებდა მდინარის გაღმიდან მოწეული მოსავლის ტრანსპორტირებას.

რა იყო ამის მთავარი მიზეზი?

ამის მიზეზი კი სახელმწიფოს მიერ ადრე დაშვებული კურიოზული გადაწყვეტილება იყო, როცა თავის დროზე სახელმწიფომ „სილვერ ენდ ბარიტ მაინინგ კომპანს“ მდინარე ბახვისწყალზე არსებული ხიდიც გადასცა. ახლა კი ამ ბერკეტს შპს „იმერის ბენტონიტ ჯორჯია“ კარგად იყენებს, რომ ციხისუბნის კარიერის ფუნქციონირებას ხელი შეუშალოს. 23 დეკემბერს ხიდი კვლავ გადაკეტა და შპს „ასკანგელ ალიანსის“ ავტომანქანებს არ ატარებს.

„საკუთრების უფლების ბოროტად სარგებლობა, საბოტაჟი ადგილობრივი წარმოების წინააღმდეგ“ –ასე აფასებენ მთისპირელები ამ ნაბიჯს. აქაური სამთოელების თქმით, ეს არის საბოტაჟი და ამით სახელმწიფო უნდა დაინტერესდეს.

შპს „იმერის ბენტონიტ ჯორჯიას“ ამ გადაწყვეტილების გამო 24 დეკემბერს, ხიდთან მივიდნენ სამთოელები და მას შემდეგ, რაც დაცვამ მათი მანქანები ხიდზე არ გაატარა, საპატრულო პოლიცია გამოიძახეს.

*–თავის დროზე ცუდი გადაწყვეტილება მიიღო სახელმწიფომ და ხიდი გაყიდა. დღეს ეს ხიდი კერძო საკუთრებაა და „ჩემს ეზოში რაც მინდა იმას ვიზამ“* –გვითხრა შპს დაცვის სამსახურის „ვიქტორია სექური“-ს წარმომადგენელმა **გრიგოლ ჭანუყვაძემ.**

მისი თქმით, ისინი ხიდზე შპს „ასკანგელ ალიანსის“ მძიმეწონიან მანქანებს არ გაატარებენ, რადგან ხიდი ავარიულ მდგომარეობაშია. თუ კი სოფელს უნდა გაფხვიერებული კლდოვანი ქანების გამოიტანოს გზების შესაკეთებლად, ამაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას უნდა მიმართონ და ისინი დაუკავშირდებიან,–თქვა გრიგოლ ჭანუყვაძემ.

*–ხიდი არის კერძო საკუთრება და იგი ეკუთვნის „იმერის ბენტონიტ ჯორჯიას“. ხიდის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია და ამის შესახებ გვაქვს სამხარაულის ბიუროს 27 ნოემბრის დასკვნა, სადაც წერია, რომ ხიდზე მოძრაობა საფრთხის შემცველია და მასზე მოძრაობა დაუშვებელია. ამის შესახებ წერილობით ინფორმირებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მერია, პოლიცია, სატყეო სამსახური და შპს „ასკანგელ ალიანსის“ დირექცია. მე არავის ინტერესი არ გამაჩნია, მაგრამ იქ კომერციული მიზნით მძიმეტონიანი მანქანების მოძრაობა არ შეიძლება, ამიტომ დავაყენე დაცვა და მძიმეწონიან მანქანებს არ გავატარებთ.*

*რაც შეეხება მოსახლეობას, მათ დაბალი ტვირთამწობის მანქანებით შეუძლიათ შეშის და ჭირნახულის გამოტანა. თუმცა ჩვენ მოკლე დროში ვიწყებთ ამ ხიდის სარემონტო სამუშაოებს* –გვითხრა შპს „იმერის ბენტონიტ ჯორჯიას“ საოპერაციო დირექტორმა **სპარტაკ ლავრელაშვილმა.**

გაზეთ „ალიონთან“ კომენტარი გააკეთა სოფელ მთისპირის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ვლადიმერ ჩავლეშვილმა:**

*–„იმერის ბენტონიტ ჯორჯიამ“ განაცხადი შეიტანა წიაღისეულის ეროვნულ სააგენტოში, ციხისუბანში ტრაქტების საბადოს გამოყოფის შესახებ, ხოლო სააგენტომ აღნიშნული თემის მიზანშეწონილობის შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას მიმართა–მერია კი სოფელ მთისპირის მოსახლეობის აზრს გაითვალისწინებს.*

*მთისპირელების აზრი კი ასეთია: –ახალი კარიერი კიდევ უფრო გააუარესებს ციხისუბნის ეკოლოგიურ მდგომარეობას. მეწყერსაშიში უბნები გააქტიურდება და სოფელს დიდი საშიშროება შეექმნება* –გვითხრა მან.

**ნუგზარ ასათიანი**

# ლიტერატურული გურია

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის გურიის ორგანიზაციის გაზეთი №3, დეკემბერი, 2019 წ


# მრავალ ახალ წელს! გალაღდით, გამაგრდით, გამრავლდით!!!

## საახალწლო



რუსეთთან ერთად ზღვა სისხლი ვღვარეთ,
როს იყო ქვეყნად მძვინვარე ომი,
მწამს, ხალხთა ძმობა კვლავ გაგვახარებს,
საქართველოა მშვიდობის მდომი.

აკვანი აღარ არის მოდაში,
ამ ჩვენს პატარებს მზე დაკაშკაშებს,
ქართულ კერაზე, ქართულ ოდაში
კვლავ მამულისთვის ვწვრთნიდეთ ქალ-ვაჟებს.

მსურს, აღარ იყვნენ ქვეყნად ობლები
და მწუთხე ცრემლი არ დაიღვაროს,
დაე, ხარობდეს ქვეყნად მშობლები,
მშვიდობა ხალხებს, ყველამ ვიხაროთ.

სხვა რა ვისურვო ამ ქვეყნად ნეტავ?
ერთგულმა გულმა იხაროს მგოსნის,
მზემ დაგვიკოცნოს ჩვენი პლანეტა
და მშობელ მიწას კვლავ გზნებით ვკოცნი.

ფოიერვერკის ზღაპრულად ბრილვა,
ჩემი კალამი ამ ლექსს ლაღად წერს,
გილოცავთ ყველას ახალ წლის დილას,
მრავალჟამიერ მრავალ ახალ წელს!

რომ თქვენ დაგლოცოთ, სისხამზე ვდგები,
გულო, იმღერე, როგორც მღეროდი,
დე, მზით გაბრწყინდნენ მამულის მთები,
დე, კვლავ ვხარობდეთ საქართველოთი.

დე, ხალხთა ძმობა იყოს ლამაზი,
ერთგული იყვნენ ამ მიდამოსი,
გვერდში დაგვიდგეს ყველა აფხაზი,
კვლავ ღვიძლ ძმად გვყავდეს ჩვენ ყველა ოსი.

კვლავ აღორძინდეს სოფლები ჩვენი,
მგოსანი კალამს ცრემლებით ვკვერავ.
მომავლის ტრფობა ძველთაგან გვშვენის,
არ ჩაქრეს სოფლად არც ერთი კერა.

ფოიერვერკის ზღაპრულად ბრილვა,
ჩემი კალამი ამ ლექსს ლაღად წერს,
გილოცავთ ყველას ახალ წლის დილას,
მრავალჟამიერ მრავალ ახალ წელს!

## ისწავლეთ ქალი

ყოველ ენქიდუს ჰყავს მისი შამხათ
და ყოველ სამსონს მისი დალილა.
გმირს გულზე ტრფობით ასვამდა დამღას,
ქალი, რომელიც არ შესწავლილა.

ქალს უშენებდნენ ციხე-ქალაქებს
და რაც დაინგრა, ქალის ბრალია,
ისტორია კი ტყუილს ლაქლაქებს,
ქალი არავის შეუსწავლია.

ვინც ვიშვით, ყველა ხომ ქალმა გვშობა,
ვინც მოკვდა, ყველას ხომ ქალი გლოვობს,
ისწავლეთ ქალი, სხვა ყველა შრომა
თამაში არის ბოლოს და ბოლოს.

ყოველ ენქიდუს ჰყავს მისი შამხათ
და ყოველ სამსონს მისი დალილა,
გმირს გულზე ტრფობით ასვამდა დამღას,
ქალი, რომელიც არ შესწავლილა.

## ჩემი აღსარება

მგოსანი ვარ, ჯერ რა დამღლის,
მსურს, ვიმღერო ჰოპური,
მიყვარს ჩემი წაბლის სახლი,
ოდა მამაპაპური.
დაილოცოს სახლის ფუძე,
მისი ორთავ სართული.
მგოსანს და სახლს გული უძგერთ,
გვსურს სიმღერა ქართული.
აქ ვწუხვარ და მე აქ ვხარობ,
თუმც, ყოფაა ტიალი,
ეზოში რომ მოჩქეფს წყარო,
ვხარობ, მესმის ჩხრიალი.
ვეფერები მე ამ ხეებს,
არის ჩემი დარგული,
ცუდსა და კარგს ვხვდები დღეებს,
შრომითა ვარ გართული.
მომავლისკენ გზას თვით ვიგნებთ
მე და ბიბლიოთეკა.
საღამოს რომ ვფურცლავ წიგნებს,
ლექსს ვწერ, თანაც ზოგჯერ კარგს.
მუსიკაზეც არ ვართ მწყრალად
მე და ჩემი გიტარა,
ვმღერი, ყელიც არ გამშრალა,
სევდა ამოიტანა.

ჩემი ძაღლი ჯულბასა კი
ყეფით უვლის ეზო-ველს
აქ მსურს, ვიყო, არ მსურს წასვლა,
მაგრამ ვნატრობ მეზობელს.
მეზობლების ოთხი სახლი
უმასპინძლოდ მკვდარია,
ამას ვწუხვარ და ვინაღვლი,
ქალაქებში არიან.
ღმერთო, ეს რა დაგვემართა,
კარგს არაფერს მოველი,
მაქვს შიში და ვამბობ მართალს,
მოვა უცხოტომელი.
და მერმისში ჩვენი ყოფა
არ იქნება ნათელი,
ახლოს არის თურქთან ხოფა,
საფრთხე ყველა ქართველის.
მშობლიური მიწა გიხმობთ
მომავალზე ორსულაც,
გთხოვთ, ფესვები არ გაიხმოთ,
სანამ უცხო მოსულა.

**ჯემალ (დავით) დობორჯგინიძე,**
მამათი, მამა-პაპური წაბლის ოდა-სახლი

## სტუმარი

# ნინო უძილაური

## „მე ფშავლის ქალი“



მე ფშავლის ქალი, ბუნების ძალით,
სიცოცხლის არსით, ცხოვრების განცდით,
მოყვასის გულით და ღმერთის მადლით,
დავიარები ლექსებით მთვრალი.

დამათამაშებს რითმების ქარი
და სიყვარულზე მიმღერის ქნარი,
მარადიული, და დღეს კი მკვდარი,
შვებას სტრიქონით ვპოულობ მაინც.

დამიმეგობრდა სიჩუმე ძალით
და ეს სიჩუმე სიკვდილი არის,
ბუნების ძალით და ღმერთის მადლით,
მაინც სიცოცხლის ხალისი ყვავის.

## „გაიღიმილე ცხოვრება“

გავიღიმილე ცხოვრება,
ისედაც წუთით დათვლილი,
მზეც თუ მეგობარს მიწოდებს,
ღიმილი არსად გაივლის.

გავაცისკროვნე სიცოცხლე,
ცხოვრებაც მეტად მომხიბლავს,
მუსიკის რიტმით ლექსებს ვწერ,
ლექსს ვასაზრდოვებ გრძნობითაც.

სიცოცხლეს ვეტრფი, ვხალისობ,
სიკვდილი თუ არ მომთიბავს,
დილის ცის ნამით დავიბან
პირს, მომღიმარს და მომცინარს.

ღამით ვარსკვლავებს ვუმღერებ,
მთვარე სიამეს მომიტანს,
თუ კავალრობას გამიწევს,
ალიონს მზეს ამომიყვანს.

ჩიტების გუნდი გალობით,
სიცოცხლეს გამიხალისებს,
სამყაროს ვალსი წუთებთან
ცხოვრებას გამიმაისებს.

დროსა და სივრცეს მივყვები,
არ ვტირი, დარდი დავკარგე,
არ მომიძებნოთ, არ მინდა,
გულს მწუხარება ვაკმარე.

## ჩემი აღსარება



აღარ მაკვირვებს, აღარ მტანჯავს დღეს ეს ხმაური,
რომ არ იდარებს, არც ამაზე გული არ მწყდება...

აქ, ამ ქაუსში, მე ყინულის ლოდებს ვაგროვებ,
ვათბობ ჩემს მკლავზე სისხლის არცთუ მკვეთრი დინებით
და ვულკანებად ამოვხეთქავ უკვე ნაგროვებს,
დღეს პოეზიის ცეცხლის წვიმად ჩამოვდინდები.

ო, ეს ქარები, კვლავ იქროლოს რექვიემებად,
თუნდ „ტარანტელა“ წაუცეკვოს წყალთა ბილიკებს,
დღეს მე დავინჩის „ცრუ ღიმილი“ მეიმედება,
ჩუმი მდინარეც ადიდდა და ლაღად ლიკლიკებს...

ეს მერამდენედ ფათერაკობს ქარი შრიალა,
შეაკრთობს ხევებს, კვლავ უმიზნო ურჩი ხეტებით,
სულის ნიმფებმა გამოსტაცეს ბახუსს ფიალა
და მოაჩვენეს უდაბნოს მზეს ლურჯი ხედები...

ეს მერამდენედ აურია აურზაურით,
შრიალ-შრიალით, ზათქა-ზუთქით კედლებს აწყდება,

ეს მერამდენედ ფათერაკობს ქარი შრიალა,
მუზაც დამიფრთხო სუსხიანი, ცივი ხელებით
და ეს ლექსებიც ფანტელებად ააფრიალა,
მე კი უმიზნოდ, უგზო-უკვლოდ დავეხეტები...

ეს მერამდენედ ფათერაკობს ქარი შრიალა...

**სოფიო ღლონტი**

# ესეც ესსე!

## მანანა ჯინჭარაძე

# ნინორე



„ჩემი ოქრო ჩემთან“ გრძელდება და ახლა მომინდა, ნინორეზე დავწერო.

იცი, როგორი გოგოა, ჩემი ნინორე?

კოხტა და პრანჭია... მზით სავსე და მზის სხივის მატარებელი... უშხრუნველესი და უზომიერესი...

მიუშვი ნებისმიერ საქმეზე და არ დაგზარდება; დაავალე და ანგელოზებს ჩამოიყვანს მიწაზე; პრობლემას არასოდეს გიქმნის, პირიქით,— სულ ცდილობს, უჩუმრად მოაგვაროს, შეგეშველოს, გვერდით დაგიდგეს...

თვალდახუჭული ენდობი: არ გიღალატებს, არ იჭორავებს, არ გაგწირავს, არ მოგატყუებს — საუკეთესო ღირებულებები აქვს.

ყველა კარგად დაწყებული და დამთავრებული საქმე უხარია, - ბავშვივითაა: გისმენს და გეკითხება, გიზიარებს და გასწავლის... პროფესიონალია...

20 წელია მე და ნინორე ვმეგობრობთ... 20 დაღრეცილი სიტყვა არ მახსოვს... სულთახუთვის დროსაც კი, - როცა საქმე სულს და გულს ერთად გისინჯავს...

წყალტუბოში ვართ, მილენიუმის პირველი ტრენინგი გვაქვს დირექტორებთან. წინა ღამით გვიან ჩასულს საჭმელი, საძინებელი აივნით, სატრენინგო ოთახი, სანაგვე ყუთი, 2 დაფა, დამატებითი მაგიდა, სკამი, მაკრატელიც კი - ნუ, აი, ყველაფერი, - მოგვარებული დამახვედრა. ფუფუნებაა მასთან ერთად ტრენინგი.

დილით ავიკვიატე, - პროექტორი პულტით უნდა ვმართო-მეთქი. კარგიო, - უსიტყვოდ დამეთანხმა. 9-ს 5 წუთი აკლია. გადავრთე, გადმოვრთე და გაიჭედა. 9-ზე უნდა დავიწყოთ...

ჩემი ნინორე მამშვიდებს, დარბის, რეკავს და... ამოვიდა „აიტიშნიკი - ვიღაცა ზედმეტად წყნარი ნერვების ახალგაზრდა კაცი, ასე 40-45 წლის. მშვიდად და უსიტყვოდ ჩამოართვა პულტი, დააჭირა ღილაკს და ასე უნდა გადაგერთოთო - მითხრა. ვიფიქრე, ამას ნამდვილად აკლია-მეთქი - პულტი ერთ გადართვას აკეთებდა და მერე იბნეოდა.

- ბიჯო, რავა იმ ანეგდოტივით მელაპარაკები, ხელოსანი უნიტაზის გასაკეთებლად რომ მიიყვანეს-მეთქი.

- ეგ რომელიაო, - ისე მწყაზარად მკითხა, თითქოს ცაიტნოტში არ ვიყავი.

დავიწყე მოყოლა. თან თვალს ვადევნებ. ნინორეც იქვე დგას და ცდილობს მდგომარეობა არ დაძაბოს...

ჩემი ანეგდოტის და პროექტორის დასასრული ერთად დადგა.

ამან: პროექტორში წაიშალა ყველაფერი და აღარ იმუშავებსო — გაღიმებულმა მომახარა.

ნინორე წამში მიხვდა ყველაფერს და უკვე ტელეფონით კაკრიაშვილს ესაუბრება...

წნევა 700-800-900 - ს მირტყამს...

გიჟს ვგავარ და ისტერიულად ვუხმობ „აიტიშნიკს.

მოვიდნენ ბიჭები, გააქანეს ეს ჩემი პროექტორი და 15 წთ-ში სრულიად ახალი პროექტორი მოაქანეს... ნინორე დირიჟორობს ყველაფერს...

ნახევარ საათში სრული სერვისი მოახერხა და ტრენინგიც დავიწყეთ...

დავასრულეთ ბედნიერად. ვსხედვართ ვალმოხდილები და დაქანცულები და ნინორემ მეტი ფუფუნებისთვის დამხმარე ბიჭი მოითხოვა მაგიდების დასამატებლად. გაიღო კარი და ისევ ეს ჩვენი დამაქცევარი მყაზარი შემოვიდა ოლიმპიური სიმშვიდით.

— ბიჯო, შენ „აიტიშნიკი არ ხარ? — მივჩერებივარ მე.

— არა.

— აბა, დილას, რატომ მოხვედი?

— დამავალეს.

— ვინ ხარ, გამაგებინე?

— მუშა. აქ ვმუშაობ ჩვეულებრივად.

მუშაოოოო... და ჩემი დაქაჩული თვალები რომ დაინახა, ეცა ნინორე, აკიდა მაგიდა და კინწისკვრით გაიგდო წინ, ე, მანდ რამე არ მოწიოსოოოო...

ეს უნდა გენახა...ახლაც ჟივილ- ხივილით ვიხსენებთ...

ნინორე ჩემი მეგობარია...

მიყვარს მისი აკადემიური ქართული, ოდნავ მჟღერი ხმა და უსაშველო სითბოს ვგრძნობ, როცა ვხედავ...

## ნინო ვაშალომიძე

# წერილი



*„ჩემო ზინიკო, ჩემო სულის და გულის ნაწილო, დღე არ გავა შენზე და ჩვენ შვილებზე არ ვიფიქრო. მიმძიმს უთქვენობა და ყოველ წამს მენატრებით. შენი თმების სურნელი მენატრება. ნაქარგიანი ცხვირსახოცი მოგპარე ( შენი ნებით არ გამომატანდი აბა?!) და ღამე დაძინებისას იმას ვიხუტებ... ტყვიების ზუზუნშიც არ მავიწყდები. ვთხოვ გამჩენს, არ მომკლას. შენთვის და ბავშვებისათვის მაცოცხლოს.*

*თავს გაუფრთხილდი, შვილებს მიმიხედე. შენ ჩემი ჭკვიანი გოგო ხარ.*

*მიყვარხარ თავზე მეტად შენ და შვილები. გკოცნით! “*

სარკესთან მდგარი, გამოგონილი მიკროფონით ხელში ვკითხულობდი ამ წერილს, გამოთქმით და დიდი ემოციით. „გადაცემობანას“ ვთამაშობდი, როცა ოთახში ბებია შემოვიდა და გამშრალი სახით მკითხა:

- ნინო, ჩემი უჯრიდან წერილი ჩემ დაუკითხავად როგორ აიღე?

- გადაცემა მიმყავდა ომზე და... შენ ხომ მომიყევი ერთხელ, ჩემ ყუთში სეოს წერილს სათუთად ვინახავ და ის ყველაზე ძვირფასია ჩემთვისო?!

- გითხარი.

- მერე მე მინდოდა, რომ ქვეყანას ცოდნოდა თქვენი სიყვარულის შესახებ.

- მე თუ მინდოდა, რატომ არ მკითხე, ბებია?

- ბოდიში. წერილი ძველი, თანაც გახსნილი იყო.

- მოდი ჩემთან, ბებია, - მომხვია ხელი ზინიკომ და დაიწყო: -

არასოდეს, არასოდეს წაიკითხო სხვისი წერილები, ნენა. არც სხვის საუბარს უგდო ყური. ეს არც წესია და არც ლამაზი...

სხვის სულსა და გულში ფათური ჰქვია მაგას, ბებია ...

- მაპატიე!

ოთახიდან ფეხაკრეფით, დარცხვენილი გამოვედი. ზინიკო ზურგით დაჯდა. მივხვდი ტიროდა. მხრები უთრთოდა. წერილს, ალბათ მეათასედ კითხულობდა და ტიროდა...

## მაია თავართქილაძე

# სიყვარული რამდენ რამეს უძლებს და რამდენს ვერ....



დაივიწყე, რომ მე სადღაც აქ ვარ, ნუ აღიქვამ სურათზე ამოტვიფრულ პატარა გოგონას, მე ის არ ვარ!

არც ფოტოზე და არც არსად....

მე არ ვარ ლამაზი, მაგრამ არც სულის სიმახინჯე შემშვენის.

მე ვარ იმ მელოდიის მოსმენის შედეგად ნაამბობი ზღაპარი, რასაც ვწერ და მერე ვკითხულობ, რომ მერე, ისევ დავწერო, რომ შენ წაგაკითხო, ან შენთვის წავიკითხო.

სამყაროდან ვიზიდავ მელოდიებს, რომელსაც ვაგროვებ თეთრი ბიაზის ქისაში, რომელსაც თავს ვუკრავ, რომ მერე ისევ ბაფთების შეხსნით თავიდან გავაჟღერო და მოვისმინო, ისე, თითქოს მათ პირველად ვუსმენ.

არასოდეს მოვიზიდავ სამყაროდან იმ მუსიკას, ბგერების სახით, რომლის გულისყურის გდება არ შემიძლია.

წერის დროს განმეორებით ვეფეთები სიმარტივეს და ისე ვწერ, თითქოს პირველად ვეხები სინამდვილეს.

სულ იმაზე ვფიქრობ ხოლმე....

სიყვარული რამდენ რამეს უძლებს და რამდენს ვერ....

ან იქნებ რამდენსაც უძლებს.........იმდენადვე ვერ უძლებს.

ღმერთო ჩემო, სიყვარული მაშინ განახებს თავის ნამდვილ სახეს, როდესაც მიემგვანება სიკვდილ(მისჯილისთვის) უკანასკნელი სურვილის აღსრულებას.

...... და ვაი მათ, ვისაც სიყვარული ფუფუნებამდე ჰყავს აყვანილი, ის ვერასოდეს შეეხება ფეხის გულებით ცრემლიან ბალახს, ვერასოდეს მოუსმენს მზის ჩასვლის დროს მჟღერ იავნანას.

სიბნელეში, ღამის ქუჩებში სიარულის დროს დავეძებ მხოლოდ მწვანე იმედის შუქურას.

ვცეკვავ მაშინაც, როცა მოცეკვავე არ ვარ!

თითის წვერებზე ვიწევი მაშინაც, როდესაც არ ვდგავარ პუანტებზე.

როდესაც ჩემი სამყარო იმსხვრევა, ზურგს ვაქცევ სხვა, ყველა კეთილდღეობას და მსვრევად კრისტალებში თავ(ფეხიანად) ვეშვები. იქ , სადაც მხოლოდ მე ვარ, გამოხატული სიმშვიდითა და ცხოვრებისეული, "სამახსოვრო" შრამებით.

რადგან დგება მომენტები, უნდა უყურო, თუნდაც იმიტომ, რომ არასოდეს არ დაგავიწყდეს!?

## ნუკრი ნიკოლაიშვილი

# ჭაში დასაღვინებელი მაჭარი



ჩემმა სოფლელმა ყურისძირის მეზობელმა და მე დუეტში გადავწყვიტეთ ღვინის დაყენება.

საამისოდ წინასწარ მოვიმარაგეთ შაქარი, „ადესისა“ და „კაჭიჭის“ შავი ჯიშის ყურძნის საკმაო რაოდენობით, საგულდაგულოდ ერთად ავურიეთ და საწნახელში ჩავწურეთ.

ჩემმა თანამეინახემ ჯიუტად აიკვიატა, - წყალი უსათუოდ ჭიდან მოვიმარაგოთ, რადგანაც ონკანის წყალი უსუფთაო და მღვრიეაო. ასედაც გავისარჯეთ; საწნახელი პირთამდის რომ შეივსო, ტუმბო გამოვრთეთ და რთველის წარმატებით დასრულებით ფრთებშესხმულები ნარდის თამაშს შევექეცით...

მეტოქე ერთობ აზარტული აღმოჩნდა და მანამდის არ მომეშვა, ვიდრე ანგარიში არ გაათანაბრა...

მაშინღა გაგვახსენდა მაჭარი... საწნახელს დავხედეთ და ელდა გვეცა: ჭაჭა ქიშმიშივით დაშრეტილიყო. არადა, საწნახელს წვეთიც არ ეტყობოდა განაჟონის...

მეგობარმა უნებლიეთ ჩაიხედა ჭაში და უცებ ხარხარი დაიწყო...

ჩავიხედე და სიცილი მეც ველარ შევიკავე, - ჭის სათავანი ერთიანად გადაწითლებული იყო!..

მერეღა მივხვდით, - თურმე რეზინის მილი ჭაშივე ჩაგვიტოვებია და ტუმბო რომ ელდენიდან გამოვრთეთ, მოშლილ აგრეგატს წვენი ყურძნის ნაჟურთან ერთად უკანვე, ჭაში შეუსრუტავს...

...ბოლო-ბოლო მაჭარი ჭიდან უკანვე ამოვხაპეთ, ნაჟურს შაქარი ხელახლა დავაყარეთ და, არ ვაჭარბებ, ჩინებული ღვინო დადგა; ოღონდაც, ისიც სათქმელია, რომ მომხდარიდან ბარემ ორი-სამი კვირის განმავლობაში მეზობლები დღეში რამდენჯერმე გვსტუმრობდნენ „ჭის ღვინის“ დასაჭაშნიკებლად...

# უნიკალური ზომის „ბატინკა“....

ზამთრის ერთ სუსხიან და უსახურ დღეს (თუმცა, თოვლს არც იმ ზამთარს გავუნებრივებივართ), ვიდეოინჟინერი და მე სამონტაჟოში კუსტარულ ელექტროღუმელს ვეფიცხებოდით (მაშინ **TV** „გურიაში“ ვმუშაობდი)...

სტუდიაში ხმის რეჟისორი გოგონა შემოცქრიალდა...

ნანიკომ დანახვის უმალ შეიცხადა ჩვენი დალტობილი და ოხშივარავარდნილი ფეხსაცმელები და შინაურულად გვეუბნება:

- ბიჭებო, ჩემს უფროს ძმას სულ ახალთახალი „ბატინკები“ გამოუგზავნეს ოდესიდან, ოღონდაც არა და არ მოერგო... ჰოდა, თქვენ რა ზომის ფეხსაცმელებს იცმევთ?

- 41-ზომის!.. დამასწრო და ყვირილით წამოიჭრა ჩემი მეგობარი.

- ესე იგი, შენ არ გერგება... აბა, შენ? - ახლა მე მომიბრუნდა.

- 39-დან ნებისმიერი ზომის, - წამოვიძახე უნებურად.

იმ მომენტში უნდა გენახათ მეგობრის შურიანი და თანაც, შესაბრალისი თვალები...

ის „ბატინკები“ ჩემთვისაც დიდი ზომის გამოდგა, თუმცა ნაფეშქაშარმა ფეხსაცმელებმა ბარემ სამი თუ ოთხი ზამთარი გადამაგორებინა...

## პოეზია

# ჯემალ კვერენჩხილაძე

### ოდა არაკაცს და არაკაცებს

კი, მართლა ვხედავ ჩემთვის რომ ზრუნავ!
რად მიბრაზდები? რა გაკაკანებს?!
ზამთარი არის, ცივი ზამთარი,
შენ ხარ გამთბარი, მე — მაკანკალებს!..
გიცქერი, ვხედავ, როგორ ფუსფუსებ...
და შემეცვალა მიტომ იერი,
ქანცგაწყვეტამდე ჩემთვის რომ „შრომობ“,
ის თავდადება მტოვებს მშიერი...
შენ გაგისუქდა ყბა და კისერი
და შეგეცვალა თანაც გუნება,
ნეტავ სანამდე უნდა ვითმინოთ
შენი ლოყების გაპუტკუნება?!
ნეტავ სანამდე უნდა ვითმინოთ
შენი თვალები — ღამე ავსულის?!
შემოგძარცვია სინდის-ნამუსი
და... დააბიჯებ სირცხვილჩაცმული.
იმას, ჩვენ რასაც სირცხვილს ვეძახით,
შენთვის ყველაზე დიდი განძია,
რადგან კაცობა მაშინ მოგიკვდა,
როცა ვერაგმა კუჭმა დაგძლია...
თავშისაცემი მარტო ის არა -
მე რომ ვერ ვიტან და არ გინდივარ,
უფრო ის არის: კაცად რომ გაჩნდი
და ამ ქვეყნიდან ღორად მიდიხარ!



... ერთი რომ იყოს, ორი რომ იყოს,
ცოტაც რომ იყოს, ისიც ბევრია...
... მავთულხლართს იქით, მავთულხლართს აქეთ,
— დასწყევლოს ღმერთმა! — ყველგან მტერია...

### მეშვიდე

ერთი გოგონა მიყვარდა,
ორი გოგონა მიყვარდა,
სამი გოგონა მიყვარდა,
ოთხი გოგონა მიყვარდა,
ხუთი გოგონა მიყვარდა,
ექვსი გოგონა მიყვარდა...
უცებ... მეშვიდე გამოჩნდა
და... სახლში შემომივარდა,
ვისაც ვუყვარდი, სუყველა
მზერით და სიტყვით დაფლითა...
ზის ტახტზე, ფრჩხილებს ილებავს,
არ გადის ჩემი სახლიდან...
არაფერს ვამბობ, წყნარად ვარ,
ვგავარ ნაღვლიან ათოსსა...
— დავწვეთ! დავწვეთო! — მეძახის
ათასი საქმის პატრონსა.
...ჩემთვის ვიყავ და ფიქრებში
მრავალ პრობლემას ვეჭიდე...
დავწექით, კაი ყოფილა,
შენ გენაცვალე, მეშვიდევ!

### მე და ქარი

გაეხარდა ქარს, რომ მნახა
მე — პატარა ქარი,
მკითხა: - ქარო, სად მიდიხარ,
საით მიიჩქარი?
— მოკეთესთან, ჩემო კარგო,
გულს მოუნდა მზეზე,
— შორს თუ არის, დაიღლები,
შემაჯექი მხრებზე!
— არა, ქარო, ფეხით წავალ,
ნისლს მოვიცვამ გულზე...
— მეც წამოვალ თუ შუა გზამდე
მომიკიდებ ზურგზე!
— არა-მეთქი!.. — თვალებიდან
გაკვირვებას ღვრიდა,
— ტვირთს თუ ზურგზე არ იკიდებ,
ზურგი რისთვის გინდა?
ამ სიტყვებმა დამაფიქრა,
დამამსგავსა ნაცემს...
დავიღალე, მხრებზე თითქოს
ასი ფუთი მაწევს...
ნეტავ კიდევ რამე მითხრას,
გული გახდა ჩქარი...
ჩემს პასუხს არ დაელოდა,
სადღაც გაქრა ქარი.
პასუხს გაგცემ, ჩემო ქარო,
მიბრაზდები რაზე? —
ყველა, ზურგზე ვინც მოვისვი,
ამაცოცდა თავზე!..
ქარი ქართლში ჩუმად სვამდა
ნისლს, ზეციდან ნაკურთხს,
ჩემს მიწაზე, „საზღვარზე“ მდგარს,
უმოწმებდნენ საბუთს...
... ნეტავ რუსიც ქარი იყოს,
ქარის ფრთები ებას...
... რადგან ქარი ერთ ადგილზე
დიდი ხნით არ რჩება...

# ნინიკო მშვიდობაძე

### კაპუჩინო

ყავა - კაპუჩინო
და თვალები -
მრუმე...
ცრემლი -
თვალის უპეებთან რომ შეჩერდა...
ზიხარ -
სიგარეტით ხელში,
ყავას სვამ და უმზერ:
გოგოს -
სამუდამოდ შენ რომ დაგებედა...
ქუჩა -
მანქანების ხმაურს რომ დაიტევს,
შენ უხმო ვედრებას ვერ უძლებს...
ჩამოივლის გოგო -
ისე კაფანდარა...
ისე:
კაფანდარას რას გაუგებ...
მერე ღამეები სიზმარ-სიზმარ გადის
და დღეც ემსგავსება შენს სიზმრებს...
ფიქრობ:
ნუთუ მართლა ასე შეუყვარდი?
ნუთუ მართლა უკითხვებოდ მიგიღო???
და...
ზიხარ -
სიგარეტით ხელში, ფიქრიანი,



უშაქრო კაპუჩინოს აგემოვნებ...
ისე კაფანდარა გოგო დაგებედა,
ისე კაფანდარა,
გეცინება...
ცრემლი გიჩერდება თვალის უპეებთან,
მოდის და ქუჩა მოაქვს სიფრიფანას...
და დაიწყებიან ისევ ღამეები -
ფერადი ღამეები -
სიზმრებივით...
და მრუმე თვალებში ჩაგიგდება
იმ გოგოს მონატრება,
შენი როა...
ზიხარ...
ფინჯან ყავას აგემოვნებ,
უკრავს მოშორებით როიალი...
ყავა - კაპუჩინო
და თვალები -
მრუმე...
ცრემლი -
თვალის უპეებთან რომ შეჩერდა...
ზიხარ -
სიგარეტით ხელში,
ყავას სვამ და უმზერ:
გოგოს -
სამუდამოდ შენ რომ დაგებედა...

### COMMEDIA DELL'ARTE

დავდივარ მშვიდად...
მშვიდად ვარ და სიმშვიდე მართობს...
ვუყურებ შორით -
კარადაში დაკიდულ ნიღაბს
და კარნავალზე უნიღბოდ ვარ,
სრულიად მარტო...
ჰო, **COMMEDIA DELL'ARTE-ა**
მთელი ცხოვრება,
და რაც აქ ხდება,
არ მეხება თითქოს არაფრით,
ბრმა ვარ,
ბრმა ვარ და უყოყმანოდ შენ ერთს მოგენდე,
ცხოვრება ჩემთვის უშენობით არის ქარაფი,
რომელიც მიწვევს,
მეძახის და მიხმობს საფრენად...
ვგრძნობ იოლია,
ხელები რომ ვაქციო ფრთებად,
ისედაც, თურმე სიყვარული არის გაფრენა...
და მერე,
მერე ტკივილებიც უკვალოდ ქრება...
ვინახავ ნიღბებს,
უნიღბებო სახით დავდივარ...
მარტო ვარ ისევ,
კლოუნივით მარტო, ეული...
შენ ნიღაბს იქით მომტირალი არლენიკი ხარ,
მე -
უიმედოდ მხოლოდ შენზე შეყვარებული...
სისხლი კი არა, მზე დამიდის სისხლად ძარღვებში,
მშვიდად ვარ,
მშვიდად,
საკუთარი სიმშვიდე მართობს...
და საკუთარი სხეულიდან თავი ავიშვი,
თავი ავიშვი და ვარ ახლა
სრულიად მარტო...

# ოტია ტრაპაიძე

### მე ამ პლანეტას სიცოცხლეს მივცემ

მინდა აჩქეფთეს ცხოვრება მდორე
და აჩანჩქერდეს ლექსი შემტევი,
ოცნების გზებო, მიშველეთ, თორემ
მთების ალყაში ველარ ვეტევი.
მე უსიმღეროდ როგორ მოვკვდები,
როცა სიცოცხლის ფრთებმა მიწამეს,
იკეცებიან გზები ოცნების
და ფეხი მიდგას დედამიწაზე.
სხვა გზას არ ვეძებ, ვაბიჯებ მტკიცედ,
აქ იფურჩქნება აზრი ყოველი,
მე ამ პლანეტას სიცოცხლეს მივცემ
და ისე წავალ, როგორც მოვედი...

### არ დამივიწყო, შენი ფესვი ვარ

ო, როგორ მიყვარს ჩემი სურები,
ამ გოლიათ მთებს რა შეედრება?!
სუფთა ჰაერი, ანკარა წყარო
და პოეზიის მადლი ვედრებად.
მეფისწყაროდან მოჰქრის მდინარე,
კლდოვან ორწოხებს ჯავრით ეხლება,



არვის უნახავს იგი მძინარე,
მის ჰარმონიას რა შეედრება!
მანამ იხარე სუფსის ხეობავ,
სანამ შეწყდება სუფსის დინება,
შენზე ოდების წერა, ამოთქმა
საიქიოშიც არ მომწყინდება.
ბანი თქვით, მთებო, ცად აზიდულნო,
მიყვარს მე თქვენი ცქერა, ყურება,
შუაგორას მთის გადმოქროლილი
ქარის ნაცნობი აჩმაურება.
მთებს შეხიზნული მე მთის პოეტი,
ჩამიკარ გულში, დედაბუნებავ!
არ დამივიწყო, შენი ფესვი ვარ,
შენზე სიმღერა მესალბუნება.

### ქვითინი

მთებს შორის იწვა დღე დარიანი,
სიცოცხლის შუქი შუბლზე ებურა,
მიმაცილებდა წიფლების ჩრდილი,
მთებს ვუკითხავდი ლექსებს მეფურად.
შემხვდა მორწყალა ძველი თილისმით,
მომხვია ხელი ძმის ერთგულებით,
მე და მდინარე, მზე და მაისი,
ვიყავით ტრფობით გათანგულები.
შვიდ ათეულის ვწნავდი გრეხილებს,
დიდრონი მთები მე ქედს მიხრიდნენ,
დამგდარს იმედის უღელტეხილზე
ღმერთები წილხვედრ ზეიმს მიხდიდნენ.
გამომეღვიძა, სიზმარი გაქრა,
ზმანებაც მიჰყვა, დავრჩი ეული,
კაშკაშა შუქი ოცნების ჩაქრა
და ავქვითინდი გზაარეული...

### აჭარა

ბათუმზე ფიქრი ამეკვიატა,
სიყვარულით ვარ ახლა თვალსველი,
აჭარას ხვალ-ზეგ უნდა ვესტუმრო,
ღმერთო ამდენ ხანს როგორ გავძელი?!
კარგა ხანია არ მინახია
ხელვაჩაური, ჭოროხი, ხულო,
არა, ახლავე უნდა წავიდე,
არა, ახლავე უნდა ვესტუმრო...
უკვე აქა ვარ, მშვენიერ ზღვასთან,
ზღვაში მზე ჩადის, მზე მშვენიერი,
ამ სასწაულის მომსწრე მეცა ვარ,
ამ საოცრებით ვარ ბედნიერი.
მინდა, ჭოროხის წყალი დავლიო,
აჭარის მთებში დავდგა კარავი,
იქ შევეგებო ცისფერ ალიონს,
ვიყოთ მე და მზე და სხვა არავინ.
მე ხომ ფეხდაფეხ და ნაბიჯ-ნაბიჯ
მთელი აჭარის მოვლას ვაპირებ,
ბოლოს აქ მოვალ, ისევ ამ ზღვასთან
და მოვუყვები ამბებს ნაპირებს.
ჰო, ფირუზია, აქ რაც ცა არის,
აქ ხომ მუზები თავზე მესხმიან,
არა, აჭარა მხარე არ არის,
აჭარა მხოლოდ ოქრო ლექსია!

## პოეზია

# თემურ მარშანიშვილი

### კაცობის რამე შემოგრჩა, სულხან?

ერის ღირსება დაგქონდა სულ თან,
ვინ გაბედავდა აუგს შენს სულთან?!
თაყვანს არ სცემდი მომხდურს და სულთანს,
არ აკარებდი ქალთან და სჯულთან...
ახლა რუსი გძულს და რუსსაც სძულხარ,
დახარბებული იანკის ფულს ხარ,
თურქის კარებზეც რომ ატუზულხარ,
კაცობის რამე შემოგრჩა, სულხან?!..

### კოკათში ვარ და...

რა ხიზილალა, რის ორაგული,
ტარანას რა სჯობს ღომზე!..
არ მღირსებია მზეჭაბუკობა,
არასდროს ვმჯდარვარ ლომზე,
კოკათელი ვარ, ზოგიერთივით
არ ვაფანატებ რომზე,
ჭაჭის არაყი გასაკვირველი
არ გამიცვლია „რომზე“,
აქ — ამ ბექობზე, აქ — ამ ალაგას
ყველაზე უკეთ ძოვს მზე,
არ დაიჯეროთ, არსად ამოდის
სხვაგან ყვავილი თოვლზე,
თვალები მეწვის ჩემი კერიის
კვამლზე, იგივე კომლზე,
კოკათში ვარ და ასე მგონია,
რომ დავაბიჯებ ხომლზე.



### ცაში ხევსურთან

ფეხს ვადგამ ფერდზე ნამქერებს,
ვიყავი, ვარ თავკერძულა,
შატილს არავინ მაჩერებს —
გადაკვეთეო ღერძულა.

ცოტა თუ ბევრი ვიარე,
მთაში შევუდგი ხევს სურა.
— ამისთვინ ამაწრიალე?
შაგერგოს! — მითხრა ხევსურმა.

ადგა და ცაში წამომყვა,
სადაც ვიხილეთ მზე სრულად,
მან კაფიები ამოთქვა,
მე კი ვუღებდი ზევსს სურათს.

დავეშვით, — უკვე ბინდობდა, —
ის არწივი, მე ბელურა,
ფული რა ოხრად გვინდოდა,
რაღაი ქუდი გვეხურა?!

### ვუჯერებ გუგულს

ცოლი ეზოში ლაფერით დამდევს,
ცეცხლმა დაგიწვა! — მიწყევლის თუთუნს,
— წაიხემსეო, — სუფრად შლის გაზეთს...
ინჯრად მივირთმევ ღომსა და სულგუნს.

ეჰ, სკვინჩასავით გაფრინდა ის დრო,
მე რომ ამ მტრედის ვარჩევდი ღუღუნს,
ახლა ვინ უსმენს? გაზაფხულია,
ვკაფავ და ვთესავ, ვუჯერებ გუგულს...

### დამის წერა

ბათუმში ვარ, მერხზე ვზივარ,
აქ ბულვარის ძერამ —
ბოშა ქალმა, დამით ხელში,
მცემა ლამის წეღან.
იძალადა, მიმკითხავა,
ბედიც დამიწერა:
იყავი, ხარ და იქნები
შენ ამ დამის წერა...

# ისაკი კეკელიძე

### შენ მართლა მზეო

როცა მზეს ვხედავ, მეც ენავმზეობ,
მზე რომ გიწოდეს, მართლა რომ მზე ხარ.
ყველგან შენ გხედავ,
ლაჟვარდო, ფერთა სიცოცხლის ძე ხარ.

შენ მართლა მზეო,
უპირველესო მზეთა და მზეთა,
ზღვა სიხარულის მომცემო ფერთა,
შენი ნათებით ახლო ხარ ღმერთთან.

როცა მზეს ვხედავ გული ნათდება,
სიხარულისგან თითქოს რომ მათრობს,
ზამთრის ცივ დღეში მისი სითბოსგან
სულიც გამითბა, ეს კარგად მახსოვს.

მზეო სულისა, მზეო სიკეთისა,
შუქი არ მოგვაკლო მეფევ სინათლისა,
შენ ხარ იმედის მომცემი სხივი,
შენი გრძნობების და სიმართლისა.

შენს ძლიერ შუქზე ყველანი ვხარობთ,
ყოველთვის რომ ცვლის ბედის შავ
„ტაროსს“,
უკიდეგანო ფერთა სივრცეში
ლამაზ სხივებით ქარგავ სამყაროს.

## საბავშვო ლექსები

# ცისანა ჩხაიძე-ჯაში

### ხარ საქართველოს შვილი

ჩვენო პატარა მართვევ,
ჩვენო პატარა ბავშვო,
იმედო ქართველთ ტომის,
ვარდის კონათა მსგავსო,
ნუ დაუჯერებ მზაკვარს,
სავსეს შხამით და გესლით,
ხარ საქართველს შვილი,
მისი ჯანსაღი ფესვი.

### თომა

მოუთმენლად ელოდება
ხვალინდელ დღის გათენებას,
თომა ბიჭი, ძმასთან ერთად,
ხვალ ტაძარში მიჰყავს დედას.
ძმაც მასავით სათნო არის,
ტყუპის ცალი, მისი მსგავსი,
ღვთის კანონებს სულ კითხულობს
და ზეპირად იცის მრწამსი.

### ვენახში

ზაფხულია. ეზოს გარეთ
ვენახი აქვს პაპას ვრცელი.
გადავწყვიტე, ვთხოვო პაპას,
მოსავლელად მეც წავყვები.
სურვილი რომ გავუმჟღავნე,
არ დამწყვიტა პაპამ გული,
მეც მთელი დღე ვენახს ვფურჩქნი
ამაყი და მხიარული.

### გიყვარდეს წიგნი

ჩემო პატარავ, გიყვარდეს წიგნი,
ყოვლად ძვირფასი ქვეყნად ის არი.
ღვთის შეგონებით მუდამ წინ ივლი,
ვერ გაგიტაცებს სხვა სატყუარი.
სიამით მიდი ცოდნის ტაძართან,
სიმართლის თქმა ნუ შეგეშინება
და მგოსნის მბორგავ, ობოლ ლექსებში
ამოიცანი ერის დიდება.

### პაწაწინა ქალს

ხეზე შემოჯდა პაწია ჩიტი
და საამურად გალობს.
არ მოიწყინო, არ მოიწყინო,
შენ პაწაწინა ქალო.
დილა გათენდა წყნარი და მშვიდი,
მზე კვლავ ამოსვლას ლამობს,
შორიდან მოხვალ, სულ ახალ ამბებს
ხომ მოგვიყვები, ქარო?
რა ლამაზია ეს საქართველო,
ზურმუხტოვანი მთები,
ზღვა მოკამკამე, ნათელი ზეცა
და დაშაქრული ზვრები.

### ზღარბი

იქეთ დიდი ორმოა,
აქეთ ეკალ-ბარდია.
ამ ქარში და სიცივში
რად დადიხარ ქაცვია?
ამოდენა ჩირგვებში
რომ ატარებ შვილებსო,
ქურქს ვერ გავხდი, თორემა
დავუკერებ ღილებსო.

## პოეტური ფოლკლორი

# სიმონ ნაკაშიძის მიერ აცანაში, ქორწილში ჩაწერილი ერთი ლექსის გამო



ნაკაშიძეთა სათავადო გვარი XVI საუკუნეში ყალიბდება და გურიის ვრცელ ტერიტორიას მოიცავს. ისინი შალიკაშვილების, გურიელების და მაჭუტაძეების მოსაზღვრეები იყვნენ. ნაკაშიძეთა სათავადოს ცენტრი გურიანთა იყო.

1830 წელს ნაკაშიძეთა სათავადო გაუქმდა. ჟამთა სიავემ ეს გამორჩეული ხალხი გაანადგურა, გადარჩენილები კი მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში მიმოიფანტნენ.

1831 წელს სამი ძმა ნაკაშიძე, მაკვანეთიდან ფარცხმაში დასახლებულა. აქაც გამორჩეულები იყვნენ. „ჭიჭვიც იყარეს“, მაგრამ სოფლის დაცლის შეუბრალებელმა „კანონმა“, აქაც იმძლავრა და დღეს, მათ ნაფეხურზე, მხოლოდ ერთი სახლიდან ამოდის ფუტი.

ამ სახლში, განათლებით პედაგოგი, ნამდვილი ქართველი ინტელიგენტი, სიმონ გედევანის ძე ნაკაშიძე ცხოვრობს. მშობელი მიწის მოყვარულს გაუჭირდა ქალაქში ცხოვრება და აქ ძველ კერას დასტრიალებს. შრომით დაღლილი კითხულობს და წერს. სიძველეებს ეძებს.

„აგი ლექსი, აცანაში, ქორწილში ჩავიწერე“, — მაწვდის მრავალთაგან ერთ ყვითელ ფურცელს. მე თქვენ მოგაწვდით გურულების სიყვარულით ასხმულ სტრიქონებს. დარწმუნებული ვარ, ყველა სოფელი იქნებოდა ამ ლექსში მოხსენიებული, მაგრამ, როგორც მისი ჩამწერი ამბობს, სიჩქარეში გამორჩა. იქნებ, სადღაც, ბალახგადავლილი ჭურის თავზე სძინავს იმ „გამორჩენილებს“?

მოდით, ავუხსნათ ჩვენს ნაშიერს, — რატომ ეძახდნენ აკეთელებს ჭურიანებს, ბაილეთელებს ჭილოფიანებს და სურებელებს ჩიყვიანებს?

რუსუდან ბერიშვილი,
18 დეკემბერი, 2019 წელი,
ჩოხატაური.

### გამთენიეს ქორწილში მონასმენი

აჭარა და ქობულეთი,
ციხისძირი ჩაქვიანა,
ექადია, ოზურგეთი,
ბახვი ასკანლებიანათ.
ბაილეთლები ჭილოფით,
აკეთლები ჭურიანათ,
აცანლები ქოთნიანად,
ვანელები კეციანათ,
ჯვარცხმელები გუმბრიანათ,
სურებლები ჩიყვიანათ.
სუფსას ერთვის ბახვის წყალი,
ყურუფაი ჩხრენგიანათ,
ბასილეთი, ხიდისთავი,
ნიგოეთი და ლანჩხუთი
მისი ლაზარეთიანა,
ყველა ხელში გაგვიარა,
არაფერი გვაზიარა.
ამაღლება საქებია,
სამებაში დათვებია,
ვანელები ყრუებია,
ზომლეთლები ცრუებია.
ჭანჭათი განათებული,
აკეთი გათათრებული,
ძიმითი გაკოტრებული
და დვაბზუ ატირებული...

**სიმონ გედევანის ძე ნაკაშიძე**
(ჩაწერილია 1968 წელს)

რედაქტორი: თემურ მარშანიშვილი

# თორმეტწლიანი განსაცდელის მიუხედავად, ცხოვრებაში მაინც პოზიტივს ხედავს

## თამუნა შავაძემ დამდეგი ახალი წელი მოგვილოცა, მკითხველო!



მუნებაცო. პროფესიით მედდაა, ახალდამთავრებული ჰქონდა ბათუმის სამედიცინო კოლეჯი და რომ არ გავიმეორო, მკითხველი ისედაც მიხვდება, რატომ ვერ განაგრძო სწავლა.

ვერ გეტყვით, თვითონ და სხვები როგორ ფიქრობენ, მაგრამ, ჩემი აზრით, გარკვეულწილად თამუნას დამსახურებაა, რომ თავის დროზე უკანავას დასახლებას ელექტროენერგიის პრობლემა მოეხსნა და ისიც, რომ შემდეგ ეს სოფელი ინტერნეტითაც უზრუნველყვეს. პირველ შემთხვევაში თამუნას თხოვნა მაშინდელმა გურიის გუბერნატორმა რამაზ ნიკოლაიშვილმა უმალ შეასრულა, ხოლო მეორე შემთხვევაში მას ნატვრა აუხდინა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარმა დეპუტატმა, დღეს უკვე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ.

თამუნას თქმით, ორივე თავისი გამორჩეული მეგობარია და ოჯახის წევრებთან ერთად, უპირველესად, ამ პიროვნებების, მერე კი სხვა მეგობრების დამსახურებაა, რომ ის გარე სამყაროს არ მოწყვეტილა, არანაირად არ ჩამორჩენია ქვეყნის მაჯისცემას.

ვატყობ, მეგობრებზე საუბარი სიამოვნებს და ვცდილობ, არ შევაწყვეტინო:

*,,ბევრი მეგობარი მყავს — კლასელები, კურსელები, თანასოფლელები. მაგათ გარეშე ნამდვილად ვერ გადავიტანდი, რაც თავს გადამხდა. მაიკო მაინც განსაკუთრებულია, განა იმიტომ, რომ სოფლის ხელმძღვანელია, უბრალოდ შეუდარებელია, ყველაზე თბილია. აბა, ის რა დღეა, რომელ დღესაც მაიკო ჩავლეიშვილს ვერ ვნახავ და ვერ ჩავეხუტები?! მიყვარს ეს გულწრფელი ხალხი, ვგრძნობ მათ განცდებს, სუნთქვას. ზოგჯერ მომანატრებენ კიდეც თავს, აი, მაგალითად, მერაბ ჭანუყვაძე, რომლის გვერდში დგომას ყოველთვის ვგრძნობდი და ვგრძნობ. თითქოს ხვდება, როდის მომენატრება და მაშინ გამოჩნდება ხოლმე, ან ნატო ხომერიკი, ნატალია, რომელიც ხშირად მსტუმრობს ფოლკლორის ბიჭებთან ერთად. ნამდვილი ზეიმია მაშინ ჩემს ოჯახში, პარლამენტარი ნინო წილოსანი კიდევ... გითხარით, ბევრი მეგობარი მყავს-მეთქი და ვშიშობ, რომელიმე არ გამომრჩეს. ასეც რომ მოხდეს, მგონი არ ეწყინებათ, რადგან იციან, რომ მაგათ გარეშე მე არაფერს წარმოვადგენ. დეპრესიის წლები ხომ მაგათ გადამატანინეს. მართალი გითხრათ, ყურადღება არც დღევანდელი ადგილობრივი ხელისუფლებიდან მაკლია“.*

ბევრს კითხულობს, უფრო ინტერნეტში, ვიდრე პირად, საკმაოდ მდიდარ ბიბლიოთეკაში. უყვარს მითოლოგიური ლიტერატურა, ქართული პოეზია, ქართული ფილმები, სერიალებიც, ოღონდ შინაარსიანი. უსმენს მშვიდ მუსიკას, ინტერნეტით ეცნობა სახვითი ხელოვნების კორიფეთა ნამუშევრებს. რეალისტია, არარეალური და არაადამიანური არაფერი მიყვარსო, — მეუბნება. ვერ იტანს ტყუილს და მატყუარებს, არ ქილიკობს ადამიანებზე. სპორტის დიდი გულშემატკივარია, აფანატებს ფეხბურთსა და კალათბურთზე. ემოციურია, საყვედურებს პოლიტიკოსებს, რომელთაგან ამ ბოლოს ერთმანეთის ძაგების მეტი არაფერი ესმის, ნაცვლად ამ გაუბედურებულ ქვეყანაზე ზრუნვისა...

იმდენად თბილი საუბარი გამოგვივიდა, ,,ბიძი“ შემარქვა. ხელს ვერ იმორჩილებს, ტელეფონის ეკრანზე ხელის მტევნის ზურგის შეხებით ახერხებს სასურველ პროგრამაში შესვლას. მითხრა, რომ ასე წვალებით წერს საზოგადო თემებზე, იმაზეც, რაც თავს გადახდა. გაგაცნობ, შემდეგო, — შემპირდა:

*,,ეხ, ბიძი, რთულია ჩემი ცხოვრება, ხე დამეცა და კისრის მოტეხილობით ჩამიყვანეს ქუთაისში, სადაც ჩამიტარდა თითქმის ათსაათიანი ოპერაცია, რო-მელიც სიკვდილთან სიცოცხლის გამარჯვებით დამთავრდა, მერე წელიწადნახევარი ყირიმში ვმკურნალობდი, შემდეგ თურქეთში მიტარებდნენ გამოკვლევებს, მერე იყო ღეროვანი უჯრედების გადანერგვა, ორი თვე ტატიშვილში გავდიოდი რეაბილიტაციას. ახლა თურქეთში უნდა წავიდე, არის დიდი ალბათობა იმისა, რომ ხელი მოვიხმარო. ჯერჯერობით მსოფლიო მედიცინაში არ ჩანს ისეთი საშუალება, რომ განვიკურნო, მუდმივი რეაბილიტაცია მჭირდება, მაგრამ თუ საკუთარი ხელით წყლის დალევას შევძლებ და კალამს დავიჭერ, მაშინ ვიტყვი, რომ ამდენ ტანჯვა-წამებას და მეგობრების დახმარებას ტყუილად არ ჩაუვლია, ჩავასწორებ, ბიძი, ჩემს ჩანაწერებს და აუცილებლად გაგაცნობ“.*

ასეთი მდგომარეობის მიუხედავად, თამუნას წუწუნი არავის გაუგონია, ყველაფერს პოზიტიურად უყურებს.

მთისპირში, ფერდობზე შეფენილ შავაძეების კარმიდამოს დღეს თამუნას დედა, ქალბატონი მერი შავაძე უვლის, მამა, ბატონი ჯემალი დიალეზზე მკურნალობას გადის და მისი ფიზიკურად დატვირთვა არ შეძლება, ძმა რამაზი კი საკონტრაქტო ჯარში მსახურობს, ერთხანს თამუნას გულისთვის იკავებდა თურმე თავს:

*,,გავიგონე, დედას და მამას რომ ეუბნებოდა, ვერ წავალ, თამუნას ვერ დავტოვებო. დავუძახე, შემოვიდა და ვუთხარი, რამაზ უნდა წახვიდე, ეს ჩემი თხოვნაა-მეთქი. დავითანხმე და ახლა ვნერვიულობ, ქვეყანა რომ აირიოს და რაიმე დაემართოს, რა უნდა ვქნა?“*

თითქოს აქ უნდა დამესვა ამ საგაზეთო მასალისთვის ბოლო წერტილი, მაგრამ წამოსვლისას თამუნამ, ანალოგიურად მძიმე მდგომარეობაში მყოფი, ჯერ კიდევ საკუთარი თვალით დაუნახავი მეგობრის წერილი გამაცნო. გადაჭარბებულად დრამატიზებულიც რომ გამომივიდეს, მცირეოდენი შემოკლებით ამ წერილის გამოქვეყნება საჭიროდ მივიჩნიე, რა თქმა უნდა, თამუნას ნებართვით:

*,,თამუნია!!! ჩემო კარგო, ჩემი თამუნიაო — ასე გამაცნო შენი თავი ჩემმა საუკეთესო მეგობარმა, ჩემმა მანუგეშებელმა ინგამ, რომელიც ასევე შენი მეგობარი ყოფილა.*

*მე ბაჩო ვარ. ალბათ, ინგა ჩემს შესახებ მოგიყვებოდა. თავს არ შევაწყენ. მეც შენებრ მომიხდა და მიხდება იმ სიმძიმის ტარება, რაც ცხოვრებამ და უფალმა გვიბოძა. მთავარი ისაა, თამუნია, რომ სიცოცხლე შეგვიძლია, ჩვენს ახლობლებს, ჩვენს საყვარელ ადამიანებს ვხედავთ, ვეფერებით, მათ სუნთქვას ვუსმენთ.*

*ინგასგან ვიცი, რომ ძალიან ძლიერი ადამიანი ხარ, სულიერად მტკიცე. მეც ასეთი ვარ, სხვანაირად არ შეიძლება რომ ვიყოთ, ხო? ძალას არ ვიშურებ, რომ ვიცოცხლო, თუნდაც იმ ფორმაში, რა ფორმაშიც ვიმყოფები ახლა. ოღონდაც სამყაროს ვუცქირო, ყველაფერს შევებრძოლები. თამუნია, გთხოვ, გემუდარები, არ დანებდე, ფარხმალი არ დაყარო, თვალიდან ცრემლი არ გადმოაგდო. შენი დასკვნა კარგ იმედებს იძლევა ჩემისგან განსხვავებით. ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ამ ექიმებმა შეძლონ შენამდე მოღწევა. ახლა ურთულეს ოპერაციას ვერკინები, ვერ დაგპირდები, რომ გნახავ, ეს ხომ უფლის ნებაა. თუ გნახე და გაგიცანი, ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ იქნება. უფალს ვთხოვ, სიცოცხლე მაჩუქოს. მინდა, გაგიცნო, თვალებში ჩაგხედო და გითხრა, ჩვენ ძლიერები ვართ, ჩვენ ყველაფერს უნდა გავუმკლავდეთ, ჩვენ უფალი არ გაგვწირავს.*

*თამუნია, ჩვენ საუკეთესო მეგობარი გვაერთიანებს. მან მომცა ძალა, დარწმუნებული ვარ, შენც ასევე გადმოგცემს მის დადებით მუხტს. ყური უგდე მის ხმას და აუცილებლად მოგეცემა ძალა, სიმტკიცე და ნებისყოფა გამძლეობისა. გახსოვდეს, რომ ჩემი დარდი და ფიქრი შენსას ემთხვევა, გახსოვდეს, რომ ყველაფერი კარგად იქნება.*

*ახლა ოპერაციაზე შევდივარ, ექიმებს ხელი მოვუწერე თანხმობაზე. არ მეშინია, თამო!!!!! თუ ვერ გადავრჩი, ექიმებს ჩემი უკანასკნელი თხოვნა დავუბარე — შენამდე მოვიდნენ და ყველაფერი გააკეთონ, რომ გაიარო და სიცოცხლე გაიხალისო.*

*უფალი გფარავდეს, ჩემო კარგო!*

*(ეს წერილი ჩემი გარდაცვალების შემთხვევაში გაუგზავნეთ ინგას თამუ-ნიას)*

*ყველანი მიყვარხართ!!!!*

*ბაჩო.“*

დიდება შენ, შემოქმედო, რომ უკიდურესი გაჭირვების ჟამსაც ერთმანეთისთვის უცნობ ადამიანებს მიეცი ასეთი განცდის უნარი! როგორ გვანან ამ წერილის ავტორი და თამუნა ერთმანეთს!!!

გამომშვიდობებისას მეუბნება, რომ სიბრალულით არასოდეს შეუხედია საკუთარი თავისთვის, რომ ასეთია, ალბათ, თავისი გასავლელი გზა და უფლის ნებაა ყველაფერი. ღიმილით მაცილებს, იმედიანი ღიმილით, რომ მალე წამაკითხებს თავისი ამოქმედებული ხელით დაწერილ მოცულობით მომცრო, შინაარსობრივად კი საინტერესო დღიურებს.

ასეთი რამ მხოლოდ თამუნასავით ძლიერ ადამიანებს ძალუძთ.

თამუნა შავაძემ დამდეგი ახალი წელი მოგვილოცა, მკითხველო!

# ოზურგეთის სამხატვრო გალერეაში გიორგი კონტრიძის გამოფენა გაიხსნა



**ალიონი.** 27 დეკემბერს მერაბ ბერძენიშვილის სახელობის ოზურგეთის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში, ახალგაზრდა ნიჭიერ მხატვართა ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, **გიორგი კონტრიძის** პერსონალური გამოფენა გაიხსნა.

პროექტის მიზანია მოიკვლიოს, დაინახოს და შეამჩნიოს რეგიონში მცხოვრები და მოღვაწე პერსპექტიული, შემოქმედებითი და კრეატიული აზროვნების უნარებით დაჯილდოებული ახალგაზრდები, წარმოაჩინოს ისინი, სტიმული მისცეს, გაუჩინოს მათ შემოქმედებითი თვითრეალიზაციის მოტივაცია, უზრუნველყოს მათი ფართო საზოგადოების წინაშე წარდგომა.

გამოფენამ ოზურგეთელი საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

ეს ამ პროექტის ფარგლებში მეორე პერსონალური გამოფენაა, პირველი შარშან შედგა, როცა ოზურგეთელ საზოგადოებას საშუალება მიეცა, გაცნობოდა ახალგაზრდა მხატვრის **ირაკლი თოიძის** შემოქმედებას.

გიორგი თოიძე დაიბადა 2000 წლის 16 მარტს. ოზურგეთში პატარაობიდანვე ავლენდა ხატვისადმი ინტერესს. სკოლის პერიოდში მას არაერთხელ მიუღია მონაწილეობა და გაუმარჯვია კონკურსებში, როგორიცაა, მაგალითად, ,,ზამთრის ვერნისაჟი“ და სხვა. დაამთავრა ქალაქ ოზურგეთის №2 საჯარო სკოლა. ამჟამად არის თავისუფალი უნივერსიტეტის ვიზუალური ხელოვნებისა და დიზაინის სკოლის მეორე კურსის სტუდენტი.

## მილოცვა

ჩემი ოთხი სულიერი და დეკემბერშია დაბადებული.

იუბილარ ქალბატონებს **ნათელა ჩხაიძეს, თალიკო რამიშვილს, ციცო ხუჭუასა და ლამარა გოგუაძეს** ვუსურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დიდ ოჯახურ ბედნიერებას.

მათი დაბადების დღეებს ახალი წელი მოჰყვა და კეთილი სურვილებით დამდეგ 2020 -საც ვულოცავ.

**ნინო-ივლიტა.**

# საახალწლო მუსიკალურ- ზღაპრული სპექტაკლის „შობის ჯადოსნური ღამე“პრემიერა შედგა

**ალიონი.** 25 დეკემბერს, ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში საახალწლო მუსიკალურ- ზღაპრული სპექტაკლის ,,შობის ჯადოსნური ღამე“პრემიერა შედგა. სპექტაკლი შექმნილია ერნესტო თეოდორ ჰოფმანის მოთხრობის ,,მაკნატუნას“ მოტივებზე. სპექტაკლში დაკავებულია მთელი დასი.

აქ შეხვდებით ბევრ ზღაპრულ და საყვარელ პერსონაჟს: სანტებს, მარის, ჰარის, დროსელ მაიერს, პეპის, ოლაფს, ჯუჯებს, მოლაპარაკე სარკეს, ჯინჯერსა და თაგვების დედოფალს, მაკნატუნას, დევს, ბოშებს, ფერიას, ნილბებს, გურულებს, მოხვდებით იაპონიაში, აფრიკაში, ახალ წელსაც



და სიკეთის გამარჯვებასაც იზეიმებთ თოვლის ბაბუასთან ერთად.

სპექტაკლის ჩვენება გაგრძელდება 2020 წლის 3 იანვრიდან 15 იანვრამდე.



გილოცავთ შობა-ახალ წელს!

მშვიდობისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს ახალი, 2020 წელი სრულიად საქართველოსთვის!

ჩემო ოზურგეთელებო, თქვენ განსაკუთრებული სიყვარულით გილოცავთ! გისურვებთ ხვავს, ბარაქას, სიკეთითა და სიხარულით სავსე დღეებს.

პატივისცემით,
**გიორგი ღურჯუმელიძე**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

ღ



ჩვენს საყვარელ პატარებს, მშობლებს, აღმზრდელებს, სრულიად საქართველოს ვულოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ხვავი, ბარაქა, წინსვლა და წარმატებები დაგბედებოდეთ თითოეულ თქვენგანს.

**მაკა ჭყონია,**
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ხელმძღვანელი.

ღ



ჩემო საყვარელო გურულებო, გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! გისურვებთ აგსრულებოდეთ ოცნებები. სიყვარულის, ურთიერთპატივისცემის, სიკეთის, წინსვლისა და კეთილდღეობის მომტანი ყოფილიყოს 2020 წელი ყველა ქართველისთვის.,ჩემი გურიანთელებისათვის!

**მაია ზოიძე,**
სოფელ გურიანთის დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატი

ღ



ძვირფასო ოზურგეთელებო! გილოცავთ დამდეგ შობა--ახალ წელს!

გისურვებთ ჯანმრთელობას, სიყვარულს, სიხარულს, შემოქმედებით წინსვლას.

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი მუდამ თქვენ სამსახურშია.

**ვასილ ჩიგოგიძე**
ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, საკრებულოს დეპუტატი

ღ




რ



საუკეთესო საბანკეტო დარბაზი საუკეთესო პირობებით

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

მის: ოზურგეთი, გაბ. ეპისკოპოსის ქ. №2

რ




რ







რ




რ

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 30 დეკემბერი ორშაბათი | 31 დეკემბერი სამშაბათი | 1 იანვარი ოთხშაბათი | 2 იანვარი ხუთშაბათი | 3 იანვარი პარასკევი | 4 იანვარი შაბათი | 5 იანვარი კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ღრუბელი +4+13 | წვიმა +4+11 | მცირე წვიმა +3+9 | წვიმა +3+8 | მცირე თოვლი +1+8 | მცირე თოვლი +2+7 | მცირე წვიმა +2+9 |